

სპორტული

საპარტაზოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

საპარტაზო, კვირა, 1990 წ.
№ 171 (10340) • ფასი 3 კპა.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

ლარი საბალოვა თაპა


თაპისი სიტყვა

იგი მსოფლიო ჩემპიონია!

ბოკიო. „ტოკიო მეტროპოლიტენის“ დარბაზში გრძელდება თავისუფალი სტილის მოქიდავითა მსოფლიო ჩემპიონატი. თავიდან წარუმატებლად დაიწყო თბილისელმა მსოფლიო ჩემპიონმა ლერი ხაბელოვმა (100 კგ). პირველი ბრძოლა მას ამერიკელ კ-ტრისტთან ჰქონდა. მეტოქეებს, ფაქტობრივად, არაფერი გაუყვებიათ შეხვედრის დასაწყისში და ორივემ, სამართლიანად, გაფრთხილება დაიშასურა. მერე ამერიკელი გააქტიურდა, რამდენიმე შეტევაც ჩაატარა და გაიმარჯვა. ასეთმა უსიამოვნო დასაწყისმა ხაბელოვი, როგორც ჩანს, გამოაფხიზლა. მომდევნო შეხვედრა გდრ-ის წარმომადგენელ ნ. ბალცთან მან დროზე ადრე, წმინდა გამარჯვებით დაამთავრა. თბილისელმა მოქიდავემ თავად გაირთულა მდგომარეობა და ახლა მას ხელს აძლევდა მხოლოდ მოგებები, მეტწილად კი — წმინდა.

ბრწყინვალედ იბრძოდა ტოკიოს სარბიულზე ნაკრების დებიუტანტი 82 კგ წონაში, მეორე თბილისელი ათლეთი ავთანდილ გოგოლიშვილი. პირველ დღეს მან სამი ეფექტური გამარჯვება მოიპოვა და მიიპყრო როგორც სპეციალისტთა, ისე კონკურენტთა ყურადღება.

შეჯიბრების მეორე დღეს, დილით საბჭოთა ნაკრების წევრებმა კიდევ თითო შეხვედრა მოიგეს, მაგრამ ნაკრებს აქვს დანაკლისიც. ბრძოლას უკვე გამოეთიშა აბაკანელი ოური მამიძეც (48 კგ). მან ზედ სტარტზევე წააგო ორი შეხვედრა.



იპოვა გამგულმა სერგეი სმაშა. ჩემპიონი ამ წონაში გაადა კუბელი ალესანდრო პუერტო. მეორე ოქროს მედალი კუბის სპორტსმენთაგან ალდო მარტინესმა მოიგო (48 კგ). 82 კგ წონაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჩეხოსლოვაკელი იოზეფ ლოგინია. თბილისელი ავთანდილ გოგოლიშვილი მესამე ადგილისთვის ბრძოლაში დამარცხდა მონღოლ ლუნსაგინ სუბატთან. დღეს, 9 სექტემბერს, გამოვლინდებიან ჩემპიონები კიდევ ხუთ წონით კატეგორიაში.

საგონათა კავშირის ჩამოშლის შემდეგ

ოთხი პერიოდი იარსება

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 3:2 (2:2, 1:0, 3:2, 5:2)

თბილისი „ვერეს“ საწვლსონ-სპორტული კომპლექსი. 7 სექტემბერი.

„დინამო“: ტუკაძე, კერესელიძე, კანდელიძე, გიორგაძე, გოგიშვილი, შავერაძე, ჩამიშვილი, დავითიანი, ასათიანი, ხარებოვი, კუტივაძე, ბითაძე, ჩომაშიძე.

„სპარტაკი“: ტაჩენკო, ბოკინი, მეხელინი, დოგლოვი, შაიდაკოვი, ნავალინი, კოლაძინი, დაიკოვი, ნეჩაევი, პოროვი, იაშჩენკო, ვაიხენკი, შეიკინი.

შეჯიბვის: ბ. შურალოვი (აშხაბადი), ა. ანციფეროვი (ლენინგრადი).

წააღვარეთ 47-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველ მატჩში თბილისის „დინამომ“ ვოლგოგრადის „სპარტაკს“ უმასპინძლა და პირველსავე შეხვედრაში დაამტკიცა, რომ საკმაოდ ახვარაშვასაწევ ძალად ითვლება ნებისმიერი მეტოქისათვის.

შეხვედრა დინამოელების შეტეებით დაიწყო და პირველი პერიოდის მთლიანი უპირატესობით დამთავრდა — 3:2. მომდევნო ცხრა წუთი ჩვენმა წყალბურთელებმა ისეთი აღმავლობით ჩაატარეს, რომ ცოტა

გუზინ...

მეორე მატჩში თბილისის „დინამო“ შეხვდა ხარკოვის „ლოკომოტივს“. დამაბული ბრძოლა ფრედ — 12:12 დამთავრდა.



თბილისის „დინამოს“ და ვოლგოგრადის „სპარტაკის“ შეხვედრის მომენტი.

ბოკიო. წარუმატებელი სტარტის შემდეგ შესანიშნავად ჩაატარა ყველა შეხვედრა თბილისელმა ლერი ხაბელოვმა (100 კგ). ფინალში ბულგარელი სტოიან ნენჩევი დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. ჩემპიონი გახდა. აგრეთვე, ვლადიკავკაზელი არსენ ფაძაევი (68 კგ), რომელმაც გადაწყვეტ ორთაბრძოლაში ბერძენ გეორგ ათანასილისს აჯობა.

საბჭოთა ათლეტებმა ერთი ბრინჯაოს მედალიც დაიმსახურეს 57 კგ წონით კატეგორიაში. ჯილდო მო-

საქართველოს წლევენილი ჩემპიონატი თავისუფალ კიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის პარალელურად მიმდინარეობს და თბილისში, ფადავანთა კლუბის დარბაზში. მოახარე ათლეტებს მხოლოდ ის სამი მოქიდავე გამოაკლდათ (ავთანდილ გოგოლიშვილი, ლერი ხაბელოვი და დავით გობეჯიშვილი). რომლებიც იპონიაში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობენ. ასე რომ, სპორტის ამ სახეობის მოყვარულები უშედავით ბრძოლების მოწმენი არიან. ჩემპიონები წონით



კატეგორიების მიხედვით დღეს გამოვლინდებიან ფინალური შეხვედრები 11 საათზე დაიწყება.

საგონათა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა

სპორტულ ტანვარჯიშში — ჰანს ბურჯანაძეს (თბილისი, „შევარდნი“)

საპარტაზოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის წევრად მიენიჭა:

ძიულაძე — თამაზ სააკაშვილს (თბილისი, ასკ).

განვითარდეს სპორტში აღმინებლად მგობრად მსოფლიო სისტემის ნაშთისა

მოსაზრებები და წინადადებები

ამ საკითხის თაობაზე საქართველოში სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა მიიღო საქართველოს სპორტსაბჭოს დაავლება, რომლის შესასრულებლად ინსტიტუტში შეიქმნა კომისია. მუშაობაში ჩაება პედაგოგური კათედრა. კომისია რამდენჯერმე შეიკრიბა, აზრთა ურთიერთგაზიარების შედეგად საბოლოოდ ასეთი მოსაზრებები ჩამოყალიბდა:

1. დღეს არსებული საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია წარმოადგენს აღმინებლად უკმაყოფილო ნებისმიერ სპორტსმენისათვის და სპორტსმენთა მატერიალური სტიმულირებისა და უზრუნველყოფის ნაცვლად ითვალისწინებს მხოლოდ მორალურ სტიმულირებას. სტიმულირების ასეთი ფორმა დღეს აღარავის აკმაყოფილებს. გარდა აღნიშნულისა, თანდათანობით აღრიცხვა-გაფორმების უამრავი ქაღალდი ესაჭიროება, შექმნილი დოკუმენტი კი მოგზაუ-

რობს ინსტანციებში, დასაქმებულია მუშაკთა დიდი რაოდენობა. არსებული კლასიფიკაციით, როგორც თანდასრულებს, ისე ზოგ შემთხვევაში წოდებების მიიჭება ატარებდა და ატარებს ფორმალურ და ზოგჯერ ნეგატიურ ხასიათს (გვგებების შესრულება, შეჯიბრებებზე დაშვება და სხვა). ამას ისიც უნდა დაეუმატოს, რომ გარდა ე. წ. სპორტული კვანძებისა, არცერთ სახელმწიფოში სპორტული კლასიფიკაცია არ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მომავალში არც საქართველოში უნდა იყოს სპორტული კლასიფიკაცია.

2. რითი უნდა შეიცვალოს იგი ან როგორი უნდა იყოს სპორტსმენთა მომზადების, შეჯიბრების ჩატარების სისტემა.

სპეციალისტთა ერთი ჯგუფი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ არსებული თანრიგები და წოდებები შეიცვალოს ტერმინებით სპორტის სახეობათა მიხედვით, მაგალითად, ტანვარჯიშში „ჩიორა“, „მართვე“,

საბოლოოდ ინსტიტუტის სპეციალისტები შეთანხმდნენ, რომ ერთადერთი გზა უარი იქნას ყოველგვარ (დღევანდელ და ახალ) კლასიფიკაციაზე და სპორტსმენთა მომზადება დეკლარაციის კარგად ორგანიზებულ საშუალებით სისტემას დაწესებული შეჯიბრებებიდან პირველად ორგანიზაციებში (სკოლები, დაწესებულებები, სპორტული კლუბები, სპორტო სკოლები და სხვა), შემდეგ კი რაიონული პირველობები, ქალაქის, რეგიონის, ზონების და დამთავრებული ეროვნული ჩემპიონატებითა და თანების გათამაშებით ცალკეულ სპორტის სახეობებში. ამისათვის ყველა სპორტის სახეობაში უნდა დამტკიცდეს რამდენიმე ასაკობრივი ცენზი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოდინარეობდეს არსებულ სპორტსმენთა ნორმებიდან და პროგრამებიდან. ეს საშუალო, თუკი პრინციპში საკითხი გადაწყდება, უნდა დაევალოს ფედერაციებს და სპეციალისტებს სპორტის სახეობის მიხედვით.

შეჯიბრებების კალენდარის შედგენა და მისი კოორდინაცია დაევალება საქართველოს სპორტსაბჭოს.

3. სტიმულირების სისტემა: გამოვიყენოთ როგორც ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ აპრობირებული გამოცდილება. ამ საკითხსაც კარგი შესწავლა სჭირდება.

მიგვაჩნია, რომ სპორტის ისეთ სახეობებში, რომლებიც ექვემდებარებიან განზომილებებს (მძლეოსნობა, ცურვა, ძაღლისნობა, ტყვეობა სროლა და სხვა) უნდა დამკვიდრდეს საკლასიფიკაციო ნორმები, რომლის შესრულებაც სპორტსმენს აძლევს უფლებას მიიღოს მონაწილეობა ამ თუ იმ მაღალი რანგის შეჯიბრებებში. რეიტინგის სისტემა, რომელიც მიღებულია კადრაკში, უნდა დარჩეს და ანალოგიური სისტემა შეიძლება შემოვიღოთ სპორტის სხვა სახეობებში.

სპორტსმენებისათვის სტიმული უნდა იყოს ნაკრებ გუნდში მოხვედრა (ასაკების მიხედვით), აგრეთვე, გამარჯვებულთა ტიტული, პრინციპების ტიტული, საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობა, სწავლასა და სახის ფულადი და ფსიქოლოგიური სტიმულირების მიხედვით, სპეციალური თეორიული, ტექნიკური მოხვედრა და სხვა.

თამარ გომეზაშვილი;
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორი.

სპორტი ამზადებს...

დამზადებული ქალაქების ურთიერთობას რომ სპორტი, კერძოდ ახსნაგული ასპარეზობები, ამზადებს და აღუდგენს, ამის მოწმეები მრავალჯერ ვიცილებოდა და, ამ მხრივ, არც თბილისისა და ტბორლის (ავსტრია) დედაქალაქ ინსბრუკის შეგნობობა გამონაკლისი, ამ ქალაქებს შორის მოსაპარებეთა ვაცვლა-გამოცვლას კარგა ხნის ტრადიცია აქვს.

ოთხობდე წლის წინ საქართველოს ეწვივნენ ინსბრუკის „ალბინ შულეს“ მთავსელები. სტუმრებმა რამდენიმე დღე დაჰყვეს ყაზბეგში, ავიდნენ მყინვარწყვრზე და დიდად ნასიამოვნებნი დაბრუნდნენ შინ. ახლა ქართველი ალბინისტები მიემგზავრებიან ტბორლის ალპების დასალოშქრავად. ამ ზაფხულს ინსბრუკს მეთრედ ეწვივნენ. პატარა თბილისელი ფეხბურთელები — 35-ე საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები, რომლებმაც თანატოლ მასპინძლებთან ბლიტურნირი (10-10- წუთიანი ტაიმებით) გამართეს, ამჯერად კი თბილისის სპორტკომიტეტი მასპინძლობდა ინსბრუკის „სპორტკლუბს“ ნორჩ ფეხბურთელებსა და მათ თანატოლ მოჭიდავეებს. ფეხბურთელებმა 35-ე სკოლელებთან სამი თამაში გამართეს, რომელთაგან ორი ფრედ დაამთავრეს, ერთი კი მოიგეს.

აი, რა განუცხადა ჩვენს კორესპონდენტს „სპორტკლუბის“ მწვრთნელმა მარკუს პლატნერმა: — მიუხედავად იმისა, რომ შერე-მეტიეროს აერობორტს დიდი სტუ-

მართოვარეობა არ გამოუჩნია ჩვენდამი (იქიდან დაქსაქსულად — 3 წგუფად გამოვეყვეს თბილისისაკენ), ეს მოგზაურობა ბევრ ჩვენგანს, განსაკუთრებით კი ნორჩ ფეხბურთელებს, დიდხანს ემახსოვრებათ. ეს, რა თქმა უნდა, თბილისელთა გულთბილმა მასპინძლობამ განაპირობა. რაც შეეხება ტურნეს სპორტულ მხარეს, მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — ინსბრუკში ხომ სპორტის ზამთრის სახეობებია უპირატესად განვითარებული, ამდენად ჩვენთვის ქართველ ბავშვთა ფეხბურთი ნამდვილად აღმოჩნება, ჭერ კიდევ ამ ზაფხულს ინსბრუკელებს ძალიან მოეწონათ თქვენი მოთამაშეობა: ანდრო მიზანდარი, ნიკო ხაჩიაშვილი და ირაკლი თარგამაძე. მათ და

მწვრთნელ ოთარ შენგელიას სიამოვნებით მოგვწვევით ჩვენს სპორტულ ინტერნატში ორი-სამი წლით ჩვენი ბავშვები, ვფიქრობთ, თქვენი მწვრთნელისა და თანატოლ ფეხბურთელებისაგან ბევრს შეიძენდნენ.

ნორჩ ინსბრუკელთა ვიზიტი დაგვირგვინდა ერთნულ სტადიონზე, სადაც მათ ახსნაგული მატჩი გამართეს 35-ე სკოლის ნაკრებთან. 2:0 — გამარჯვებს მასპინძლებმა.

3. უნდა იქნას.

რედაქციისგან: გაუგებარია, პლატნერი რატომ ხდება ბრალს შერეხეტიეროს აერობორტს. ვფიქრობთ, სტუმრების საქართველოში ორგანიზებულ ჩამოყვანაზე თბილისელ მასპინძლებს უფრო უნდა ეზრუნათ.



გაგარჯვება შეითხვევით არ მოდის

ბატუმში მტომელთა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულნი — ანა დოლონიძე, ლია ბენდიანიშვილი და ზაზა აბრამაშვილი შევიდნენ ნიკოლაევი გაემგზავრნენ, საკავშირო ნაკრების წევრებთან ერთად ორკვირიანი შეკრება გაიარეს, აქედან კი პირდაპირ ბელორუსისა და მიამურეს, სადაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. გომელში ანას, ლიას და ზაზას დაემატნენ სხვა ქართველი ბატუმელები, მათ შორის, რუსულად ხოფერიაც. რუსულანისბათვის ეს შეკრება ერთგვარი „გენერალური რეპეტიცია“ იყო საერთაშორისო ტურნირის წინ, რომელიც ეს-ესა და იმყო ინგლისში. აქვე უნდა ითქვას, რომ ბელორუსიაში ავადმყოფობის გამო არ ჩავიდა ქუთაისელი ლელა გიგინეიშვილი — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის „ოქროს“ (სი-

ნქრონულ ხტომებში) და „ბრინჯაოს“ (ინდივიდუალურ ხტომებში) მფლობელი, რაც მნიშვნელოვანი დანაკლისი იყო ჩვენი გუნდისათვის. თუმცა უკანასკნელ პერიოდში აღმავლობის გზაზე მდგარი ბატუმე ხტომის ქართული სკოლის წარმომადგენლებმა კვლავ დაამტკიცეს, რომ გამარჯვებები შეითხვევით არ მოდის, სტაბილურობა აუცილებელია ნებისმიერი რანგის ტურნირზე ასპარეზობისას.

გოგობში (ინდივიდუალური ხტომები) ანა დოლონიძემ მეტოქეთა გამარჯვების ყველა იმედი გადაუწყურა და ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა. აქ მეორე რუსულან ხოფერიაც იყო. სინქრონულ წვეილთა ასპარეზობისას პირველობა არავის დაუთმეს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა — მერკულევამ და ლუშინამ, კვარცხლბეის მომდევნო საფეხური რ. ხოფერიამ

და ნისმა ტრადიციულმა მეწყვილემ, უკრაინელმა ელენა კოლომეცმა დაიკავეს, მესამეში ა. დოლონიძე და ლ. ბენდიანიშვილი იყვნენ. ბოლო გამოსვლებში, ვარჯიშის დასრულებისას, ანა ზედიზედ ორჯერ შეეხო დამსწვევ ლიბებებსა და ზამბარებს და ჩვენმა ლეგებმა ამის გამო 5 ქულა დაკარგა. ეს შემთხვევა რომ არა, ალბათ, საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ხარისხის მედალსაც შემატებდნენ „მედეურ ოქროს“. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე დახარჯული ძალისა და ენერჯის აღდგენა არც ისე იოლია და III ადგილიც წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

ვაქებიდან მხოლოდ ზაზა აბრამაშვილი მოხვდა პრიზორებში — ერთეულთა თანრიგში. გვეგონა, უმეტესოდ არ დაბრუნდებოდა რევაზ ხარატიშვილი — მოსწავლეთა

პრეტენდენტები...

ქალაქში არსებობს რაღაც გარკვეული განსხვავება სამატროსა და სატურნირთა ბრძოლებს შორის. მაგრამ ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი ვაჟთა შორის — ვარი კასპაროვი, ორივე სისტემის უმაღლო ოსტატად ითვლება.

როგორც ცნობილია, დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელი შეგბრება — მსოფლიო თამაშის ვარი კასპაროვმა მოიგო. ახლანდელ დამთავრდა მსოფლიო თამაშის მეორე გათამაშების მსოფლიო ჩემპიონი. საბატო პრიზისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს: ა. აზნაფაშვილმა, ე. ბარეევმა, ა. ბელიავსკიმ, მ. გურევიჩმა, ა. ხალიფმანმა (ყველა — სსრკ), კ. გვორგეივამ (ბულგარეთი), ბ. ნიკოლიჩმა (იუგოსლავია), ლ. პორტიშმა (უნგრეთი), ი. სეირავანმა, ნ. დე ფირმანმა (აშშ), ჯ. სპილმენმა, მ. ჩანდლერმა (ინგლისი). ამ თორმეტ მოქალაქეს დაემატა თამაშის პირველი გათამაშების უძლიერესთა ექვსეული — გ. კასპაროვი, ა. კარპოვი, ვ. სალოვი, ი. ვლესტი (ყველა — სსრ კავშირი), ლ. ლიბოროვიჩი (იუგოსლავია), ა. ნანი (ინგლისი) და კიდევ ექვსი უცხოელი დიდოსტატი, რომლებსაც ბოლო ორი წლის შედეგებით უკეთესი რეიტინგი აქვთ.

რამდენიმე სიტყვა მსოფლიო ჩემპიონატის მფლობელი, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ვერ მოხვდა საუკეთესო სამეულში.

უნდა აღინიშნოს რუსულან ხოფერიას კარგი გამოსვლა. ტურნირის დღეებში იგი თვალის ტვივოს უჩიოდა, მაგრამ მიინც შეძლო VI ადგილიდან პრიზორებში გადამაცვლება. სხვათა შორის, ანა დოლონიძე შექმნა გრანდოზა თაგს, თუმცა მან წარმატებით დასრულა ტურნირი. საერთოდ კი, ინდივიდუალურ ხტომებში ქართველ გოგობს ჭერ არ გაუმარჯვიათ საკავშირო ჩემპიონატში, ვაქები კი საბატო საშეულში ჭერ არ მოხვედრილან. რ. ხოფერიამ და ზ. აბრამაშვილმა ეს შეძლეს.

მოკლედ, ამ ბოლო დროს ქართველი ბატუმელები დიდ წარმატებებს აღწევენ და მოულოდნელი არც ის იქნება, თუ მალე ინგლისიდანც მივიღებთ კიდევ ერთ სასიხარულო ცნობას.

მპიონატისთვის პრეტენდენტ ქალაქ ტურნირში მონაწილეობას უწყობი მოიპოვეს: ა. გათრინაშვილმა, ე. კასიანმა, ა. გალიამოვამ (ყველა — სსრ კავშირი), ე. კლიმოვამ (ჩეხოსლოვაკია), სი ციხუნმა (ჩინეთი), ა. მარინმა (იუგოსლავია). ამ სისა შეავსებენ ნ. იოსელიანი (სსრკ), რომელმაც 1988 წელს წააგო მატჩი მსოფლიო ჩემპიონ მია ჩიბურდანიძესთან, ე. ლონალოსონ-ანგილოვსკაია, როგორც პრეტენდენტთა წინა ტურნირის მეორე პრიზორი. აგრეთვე უმაღლესი საკავშირო რეიტინგის მფლობელი უნგრელი დევი პოლგარები — ყუჟა და იულიტი.

ცნობილია პრეტენდენტ ვაჟთა წყვილებს შემატდნენ: ი. ტიმანი (პოლანდია) — რ. პიუნდერი (გვრ), ვ. ივანუკი — ე. იულიანი (ორივე — სსრკ), ბ. გლუფანდი (სსრკ) — პ. ნიკოლიჩი (იუგოსლავია), ვ. კორჩნოი (შვეიცარია) — დ. საქსი (უნგრეთი), ნ. შორტი — ა. სპილმენი (ორივე — ინგლისი), ს. დოლონიძე — ა. იუსუპოვი (ორივე — სსრკ), ა. დრევი (სსრკ) — ე. ანანი (ინდონეზია). ამ შედეგ წყვილში მოგებულს დაემატება კიდევ ერთი მოქალაქე — გ. კასპაროვი. კარპოვის მატჩში დამარცხებული და დიწყება საკავშირო გვირგვინისთვის ბრძოლის მთავარი ეტაპი.

„სპორტლოტო“

ბაერთინანმა „სოიუსსპორტლოტო“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 35-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 44“ — დან: ტირაჟში დაშვებულია 1,263,366 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვინია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (38) მოგება 1,437 მანეთია, ოთხისთვის (1,988) — 28, სამისთვის (26,400) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 27,438 ვარიანტი. 6—0, 5—1, 4—45, 3—555.

„სპორტლოტო 5 86“ — დან: ტირაჟში დაშვებულია 13,248,292 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (25) მოგება 10,000 მანეთია, ოთხისთვის (4,946) — 131, სამისთვის (180,742) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 322,618 ვარიანტი. 5—0, 4—178, 3—4,703.

35-ე და 26-35 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 22 სექტემბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით.

„სპორტპრონოსი“

ბაერთინანმა „სოიუსსპორტლოტო“ შეაჯამა „სპორტპრონოსის“ 1990 წლის 35-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2,925,489 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (13) მოგება 3,375 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (442) — 198 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (4,736) — 64 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 132,888 ვარიანტი. 13—0, 12—43, 11—418.

35-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 22 სექტემბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით.

რედაქტორთა თანხმე განაჩილაქ

თბილისის ავლაბრის სტადიონი (ბოქორძის ქ. №18)

ფაქსი

11 სექტემბერი

საქართველოს ჩემპიონატი (II ლეგა, აღმოსავლეთის ზონა)

„მრქმპნი“ (თბილისი) — სხსლ მფიფო უნივერსიტეტი (თბილისი) — დასაწყისი 17 საათზე.

მათი მოსაგონებელი შეხვედრა

ნიკ. იორაძე. აშშ-ის ჩოგბურთელთა ლია ჩემპიონატის ქალთა ტურნირის ფინალში გავიდნენ დასავლეთგერმანიელი შტეფი გრაფი და არგენტინელი გაბრიელა სანბატინი. პირველმა 55 წუთში მოუგო ნახევარფინალური შეხვედრა უსანელ არანტა სანჩესს — 6:1, 6:2, საბატინიმ კი მძაფრ ბრძოლაში (2 საათი 43 წუთი) დაამარცხა ამერიკელი მერი-ჯო ფერანანდესი — 7:5; 5:7, 6:3. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გრაფი და საბატინი ოცდაერთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. არგენტინელს მხოლოდ სამი ბრძოლა აქვს მოგებული.

გამოვლინდნენ ჩემპიონები ვაჟთა წყვილებში. სამხრეთაფრიკელთა დუეტმა — პიტერ ოლდრიჩმა და დენი ვისერმა ფინალში ამერიკელები — პოლი ენაოტუნი და დევიდ უიტონი დაამარცხეს — 6:2, 7:6. შერეულ წყვილთა შორის აშშ-ის ჩემპიონები გახდნენ ავსტრალიელები ე. სმაილი და ტ. კუდბრიჯი.



ველაზე მეტი გაამარჯვლოს ინგლისის საფეხბურთო ლეგში ცნობილი შვედური თაგდამსმელი ჯონ ბარნსი იღებს. მისი წლიური ხელფასი ნახევარ მილიონ დოლარს შეადგენს (ბარნსი „ლივერპულში“ გამოდის).

ველაზე მეტი — ბარნსი

მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობის დროს, შესაძლოა, ბევრს აღინიშნებდა ბრაზილიელთა მწვრთნელ სებასტიანო ლაზარონის გაუთავებელი ქალიღი იმისა, რომ პირველი ადგილი აუცილებლად მის გუნდს დაარჩებოდა.

ახლა ლაზარონიმ, რომელიც „ფიორენტინას“ უდგას სათავეში, მიმომხილველთა აზრით, კვლავ ისევეა. კითხვაზე, რას აპირებს იტალიის ჩემპიონატში, რომელიც 9 სექტემბერს იწყება, ლაზარონიმ ასე უპა-

პაუა ინვაზია!

მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობის დროს, შესაძლოა, ბევრს აღინიშნებდა ბრაზილიელთა მწვრთნელ სებასტიანო ლაზარონის გაუთავებელი ქალიღი იმისა, რომ პირველი ადგილი აუცილებლად მის გუნდს დაარჩებოდა.

ახლა ლაზარონიმ, რომელიც „ფიორენტინას“ უდგას სათავეში, მიმომხილველთა აზრით, კვლავ ისევეა. კითხვაზე, რას აპირებს იტალიის ჩემპიონატში, რომელიც 9 სექტემბერს იწყება, ლაზარონიმ ასე უპა-

სუბა: „შარშან“ ფიორენტინა“ მეოთხემეტე ადგილზე გავიდა. ახლა ჩვენ ხელს გვაძლევს ამაზე უკეთესი ნებისმიერი შედეგი“.

ახალი რიველინო

ბრაზილიელი მიმომხილველები დიდი სიმათით წერენ 17 წლის ახალგაზრდა ფეხბურთელზე მარსიო რიველინოზე, რომელიც „კორინტიანსში“ თამაშობს. მარსიო ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის რობერტო რიველინოს შვილია.

ორი მატჩი სპარტასზე

როგორც უფეს-ს სამდენო იუწყება, საბოლოოდ შეთანხმებულია სუბერტასის მატჩების თარიღები ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ „მილანსა“ და თამაშის მფლობელთა თასის მპყრობელ „სამპდორიას“ (გერუა) შორის.

პირველი მატჩი გაიმართება გენუაში 10 ოქტომბერს, სპასუნო შეხვედრა — 29 ნოემბერს.

ელტონ ჯონსა ბაქიდა „სპორტლოტო“

ცნობილია ინგლისელმა საეცტრადო მომღერალმა ელტონ ჯონმა, რომელიც ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია, ამ რამდენიმე წლის წინ შეიძინა კლუბი „სპორტლოტო“. მომღერალი ხანდახან მონაწი-

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი, კორექტ ობზე მ. ძეძიძე და ც. ნატეშვილი.

436666 მისამართი:

წერილებისთვის — 380000,
თბილისი, მ. კობახაძის ქ. 14,
დღე შეხებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:

წერილების განყოფილება — 98-97-55,
სამდენო — 98-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54,
„მერანი“ — 98-97-20, „მარტვი“ — 98-97-27.

18350 ინტელი:

68485

საქართველოს კ. ც. კ. გამომცემლობის შრომის წითელი დროის ორდენისანი სტამბა. 3800098, თბილისი, მ. კობახაძის ქ. 14.
იბეჭდება ოფეტური წებით საგზეთო კორპუსში: ხოზარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20